

მოსწავლეთა მოტივაციის ამალღების საშუალებების ძიება ისტორიის გაკვეთილზე

ნათია კალანდაძე

ქ.ქუთაისის №15 საჯარო სკოლა

რეზიუმე

ყველანაირი შემოქმედებითი პროცესი ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. მით უფრო, ისეთი ურთულესი პროცესის, როგორცაა სწავლება. სწავლების პროცესის წარმართველ ფიგურას, პედაგოგი წარმოადგენს. პედაგოგისადმი წაყენებული მოთხოვნები, საგნის ცოდნასა და ამ საგნის სწავლების მეთოდოლოგიადე დაიყვანება. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მოსწავლეთა მოტივაციის ამალღების ხერხები და მეთოდები ისტორიის სწავლების პროცესში. კერძოდ, განხილულია ის მეთოდები, რომლებსაც ვიყენებთ პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში - აქტივობა რა? სად? როდის?; დისკუსია; ჯგუფური მუშაობა; პრეზენტაცია; ქრონოლოგიური ჯაჭვი და სხვა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში ამ აქტივობების გამოყენება ხელს უწყობს მოტივაციის ამალღებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ამას გარდა, სწავლის მოტივაციის ამალღებას ხელს უწყობს მაღალი ხარისხის სახელმძღვანელო, გამართული სასწავლო გარემო, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობის ღია, მეგობრული და თანამშრომლობითი დამოკიდებულებები. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში პროფესიონალი და კომპეტენტური მასწავლებლის ფუნქცია შეუცვლელია.

საკვანძო სიტყვები - ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, დისკუსია.

ყველანაირი შემოქმედებითი პროცესი ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. მით უფრო, ისეთი ურთულესი პროცესი, როგორცაა სწავლება. სწავლების პროცესის წარმართველ ფიგურას, ცხადია, პედაგოგი წარმოადგენს. „პედაგოგი თავისი აქტივობის მიზნად ისახავს პიროვნების ჩამოყალიბებასა და გარდაქმნას, მოწოდებულია მართოს მისი ინტელექტუალური, ემოციური თუ ფიზიკური განვითარება, ჩამოყალიბოს მისი სულიერი სამყარო.“(ზასილაძე ი, ძოწენიძე ი. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 19–20; 27)

დღეს სკოლას ესაჭიროება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია ფართო ხედვა, აზროვნებისა და აქტივობის ხერხების შერჩევისა და მოსწავლეთან თანამშრომლობის უნარი, ინდივიდუალურობა და არატიპიურობა, შეუძლია ბავშვის ნდობის მოპოვება(იქვე...გვ. 200). საგნობრივი ცოდნა და სწავლების მეთოდოლოგიაში დახელოვნება მასწავლებლისთვის აუცილებელი პროფესიული მოთხოვნილებაა. საკითხი, რომელზეც უნდა ვისაუბრო, ვფიქრობ ერთობ აქტუალურია, ვინაიდან თანამედროვე სწავლება ორიენტირებულია მოსწავლეზე. სწავლების პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწავლის სურვილის გაღვივება, მათი მოტივაციის ამალღება წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში კი, სწავლისადმი

მოტივაციის განვითარება კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა; ბევრი მათგანი მათ გამოყენებას სასწავლო პროცესში მოელის, ამიტომ ტრადიციული გაკვეთილები მოსაწყენად ეჩვენებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლისადმი მათ მოტივაციას.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სწავლისადმი შინაგანად მომართულია და დიდ ენთუზიაზმს ამჟღავნებს; სხვებს კი სწავლისადმი მოტივაციის გასაღვივებლად დამატებითი სტიმულაცია, წახალისება სჭირდებათ და ამას კი ისინი პედაგოგისგან მოელიან. არსებობს სხვადასხვა ფაქტორები რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოსწავლის შინაგან მდგომარეობასთან, მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ან შეიძლება გარემოს გავლენას უკავშირდებოდეს.

მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას. („სწავლება და შეფასება“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ. 2008, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“). პედაგოგის მუდმივი ზრუნვა თავის პროფესიულ განვითარებაზე აშკარად აისახება თითოეულ მოსწავლეზე, ისინი ყველაზე კარგი შემფასებლები არიან მათი წიმნამძღოლის.

დღეს, თეორიაში შემოთავაზებული ამა თუ იმ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების შემდეგ, ვაანალიზებ, ვაკვირდები მის დადებით და უარყოფით თვისებებს, ვაკეთებ ჩანაწერებს. აქ თავის როლს ასრულებს მოსწავლეთა თვითშეფასება, რომლის მიხედვით გაქვს მიზანი და ახორციელებ შემუშავებულ გეგმას. ესა თუ ის მეთოდი და აქტივობა სხვადასხვა ასოკობრივ ჯგუფთან სხვადასხვაგვარად მუშაობს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში მოტივაციის ამაღლებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უწყობს აქტივობა რა? სად? როდის? რომელსაც ამ ეტაპზე 3 კლასში ვახორციელებ და ვაწარმოებ დაკვირვებას. უკვე მეორე წელია ეს მეთოდი რეალურად იძლევა შედეგს. თითოეული ჯგუფს აქვს თავისი ნომერი და სახელი, ჰყავთ გუნდის კაპიტნები. გუნდები მიღებულ ქულებს მთელი წლის მანძილზე აგროვებენ, ქულების მიღებას აქვს თავისი კრიტერიუმები, რომელთა დაცვას თვითონ მოსწავლეები ცდილობენ. ასეთი გაკვეთილი მათ კვირაში ერთხელ უტარდებათ, ხოლო სხვადასხვა დღეს სხვადასხვა მეთოდსა და აქტივობას ვიყენებ.

11	გუნდის ორგანიზებულობა	11
		ქ.
22	ურთიერთიერთთანამშრომლობა	2
		2ქ.
33	მეგობრული დამოკიდებულება	55
		ქ.
44	საქმისადმი პასუხისმგებლობა	25
		ქ.
55	ჩართულობა	23
		ქ.

მოსწავლეები იცავენ დროის მენეჯმენტს, არის ორგანიზებულობა და ურთიერთპატივისცემა. გამარჯვებულ გუნდს პედაგოგი წლის ბოლოს გადასცემს თასს, ხოლო სერთიფიკატს კლასის ყველა მოსწავლეს. წახალისების ეს ფორმა დადებითად მოქმედებს მოსწავლეების შინაგან მოტივაციაზე.

დისკუსიის ხერხების შესწავლას VI კლასის მოსწავლეები იწყებენ სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, სადაც პროგრამა და თემატიკა იძლევა ამის საშუალებას. დისკუსიის სხვადასხვა ხერხებიდან პრაქტიკული და შედეგის მომტანია შემდეგ სახეები: მიკროფონი, მრგვალი მაგიდა. პედაგოგი შედეგის მიღწევას ცდილობს ურთიერთთანამშრომლობითა და მეგობრობით. თავდაპირველად მათ უჭირდათ აზრის თავისუფლად გადმოცემა, მსჯელობა და ანალიზი, ვინაიდან ტრადიციული თხრობის მეთოდი, რომელსაც პედაგოგთა ნაწილი დღესაც იყენებს, აკომპლექსებს მოსწავლეს, ვერ ახდენს მოსაზრების სწორად გადმოცემას და უჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა. ვფიქრობ, VII კლასი გასულ წელთან შედარებით, ამ საკითხთან მიმართებით რამდენიმე ნაბიჯით არის წინ. უმეტესობამ უკვე შეძლო მოსაზრების თავისუფალი გადმოცემა.

მოსწავლეების გარკვეული ნაწილი უფრო ადვილად ართმევს თავს მუშაობას მეთოდით „**ქრონოლოგიურ ჯაჭვი**“, ვინაიდან აქ დევს მათთვის ცნობილი ე.წ. „მოყოლის“ ელემენტები. მოსწავლე იწყებს მოვლენებზე მსჯელობას და მოულოდნელად აგრძელებს მეორე, ისე რომ არ გაწყვიტოს ქრონოლოგიური ჯაჭვი. ეს ხელს უწყობს თემის კარგად შესწავლას და ყურადღების კონცენტრირებას. არ შეიძლება სრულებით უარყო ძველი და აღიარო მხოლოდ ახალი, ყველაზე დიდი შედეგის მომტანი იქნება ძველისა და ახლის სინთეზი, რაც გულისხმობს კომბინირებული სწავლების მეთოდით მუშაობას: **ძველზე ახლის დაშენება**. იმისათვის, რომ გავაუმჯობესო სწავლის ხარისხი, ყველა მოსწავლე მუდმივად აწარმოებს თარიღების რვეულს, რომელიც ეხმარება მათ გამეორებასა და მასალის შეჯამებაში. ტესტირების მეშვეობით თვეში ერთხელ ვაფასებ განვლილი მასალის შესწავლის ხარისხს. ტესტში არის როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის კითხვები. ვფიქრობ, რომ მხოლოდ ტესტი ვერ იქნება შედეგის მომტანი, ამიტომ გადავწყვიტე მოსწავლეებმა მინი გამოცდა ჩააბარონ. ეს ხელს უწყობს მათში პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას და გააქტიურებას.

საკმაოდ საინტერესოა მათთვის შემეცნებითი და ქრონოლოგიური სქემებით მუშაობა. ეს ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ მოცემულ საკითხში რა არის მთავარი და არსებითი. თითოეული მოსწავლე მის მიერ შესრულებულ დავალებას სქემის მეშვეობით ინახავს თავის პორტფოლიოში. პორტფოლიოს წარმოება ეხმარებათ ნაშრომის თავმოყრაში და ორგანიზებაში, უყალიბებს მათ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობას. მოსწავლეებს ხშირად თხზულებებთან ერთად მასწავლებელი აძლევს მითითებას გამოიყენონ „კიპას“ მეთოდი, რაც ამართლებს, მათ კიდევ მეტად ეხმარება თემის შესწავლასა და გააზრებაში, ასევე დისკუსიის სწორად წარმართვაში. ძალიან დიდი მონდომებაა საჭირო, რათა მოსწავლეს არ გაუქრეს მოტივაცია, მუდმივად

ვაკვირდები მათ, ვიყენებ ჩანაწერებს, რათა აღვსახო და თავი გავართვა წამოჭრილ პრობლემებს.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი დადებითად აფასებს **ჯგუფურ მუშაობასა და პრეზენტაციას**. მათზე დადებითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ ჯგუფში მუშაობა ითხოვს თანამშრომლობას, ეს კი ავითარებს მათ უნარს ამ მიმართულებით. პატივისცემით ეკიდებიან ერთმანეთს, თანდათან უვითარდებთ მსჯელობისა და არგუმენტირების უნარი. ისინი პრეზენტაციისას არიან თვითდაჯრებულნი ან ცდილობენ იყონ ასეთები. აქ ისევ დიდ როლს თამაშობს პედაგოგის დამოკიდებულება და სწორი მიმართულება. კლასი თავად აფასებს შესაბამისი შეფასების სქემით პრეზენტატორს, ამ საქმეს ისინი ხალისით ეკიდებიან, ყურადღებით უსმენენ, რადგან იციან რომ სწორად უნდა შეაფასონ.

აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა VI და VII კლასების მაგალითზე. მაღალ კლასებში ნაკლებად არის დაინტერესება შემეცნებითი სქემებისა და ქრონოლოგიური ჯაჭვის მიმართ. როგორც უკვე ვთქვით მათ მოტივაციასა და პასუხისმგებლობაზე ყველაზე მეტად დადებითად მოქმედებს აქტივობა **რა? სად? როდის? და დისკუსიის ორი ხერხი - მიკროფონი, მრგვალი მაგიდა**.

ზოგადად არსებობს პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით, თუნდაც ავიღოთ სახელმძღვანელო, რომელიც მოტივაციის ამაღლების უპირველესი გარანტი უნდა იყოს, მასში საინტერესოდ უნდა იყოს დაგეგმილი ესა თუ ის თემა, გათვალისწინებული უნდა იქნას ასაკი. მიმაჩნია, რომ უნდა არსებობდეს ისტორიის მიმართულების სპეციალური მეთოდური კომისია, რომელშიც უნდა შედიოდეს განათლების სპეციალისტები, ფსიქოლოგები, უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომლები და ყველაზე მთავარი: პრაქტიკოსი პედაგოგები. მაგალითად, ავიღოთ მეათე კლასის სახელმძღვანელო, თუ გასულ წლებში ისტორიის პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ არ იყო მასალა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესის და შედეგის შესაბამისად, ფაქტიურად რაიმე მნიშვნელოვანი ახალ სახელმძღვანელოში არ მომხდარა, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით სწავლობენ და არა ინტერესით. ისინი ადარებენ მეცხრე კლასის მასალას და არსებით განსხვავებას ხედავენ.

რაც შეეხება მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოს, აქ მასალა ძალიან დიდია მოცულობით, დამახსოვრების თვალსაზრისით პრობლემა ნამდვილად იქმნება. არ ვამბობ იმას, რომ არ უნდა სწავლობდნენ ამ თემებს, პირიქით მივაწოდოთ ინფორმაცია, თუმცა დახვეწილად და ჰქონდეთ მათ საშუალება მეტად გაიაზრონ და მართლა დაიმახსოვრონ, არა მხოლოდ ერთი დღისთვის ან მხოლოდ იმ წლისთვის.

ისტორიის სწავლებას არ აქვს მხოლოდ საგანის, სწავლების ფუნქცია, მას დიდი როლი აკისრია მოსწავლის სამშობლოს სიყვარულის გაღვივებაში, მან უნდა აღზარდოს ღირსეული მოქალაქე. არიან თაობები, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფოებრივი აზროვნება უმეტესად ინდიფერენტულები არიან, ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას ქვეყნის მიმართ, არ თუ ვერ აქვთ აღებული აქცენტი მოვალეობებზე. უმჯობესია ეს დრო გამოვიყენოთ XI, XII კლასების მასალაზე გადასანაწილებლად, რადგან ზღვა მოცულობისაა და მოსწავლისათვის რთულად დასამახსოვრებელია. მეათე კლასის სახელმძღვანელოში არსებული ტექსტი სრულიად მარტივად შეიძლება მოსწავლეს ასწავლო სწავლის სხვადასხვა ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი პრაქტიკული სამუშაოა, სჯობსა ეს ტექსტი გადანაწილდეს სხვადასხვა კლასის

სახელმძღვანელოში (თავისი პრაქტიკულებით) და ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რასაც მოითხოვენ ეროვნულ თუ CAT-ის ტიპის გამოცდებზე. აღნიშნული წიგნის პრობლემა ხშირად გამხდარა პედაგოგებისა და მოსწავლეების განსჯის საგანი.

სასწავლო წიგნთან ერთად მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს საკლასო გარემო. სკოლას ხშირ შემთხვევაში არ აქვს იმის რესურსი, რომ ყველა საკლასო ოთახში შეცვალოს ავეჯი. თუ გვინდა ჩატარდეს სრულყოფილი თანამედროვე გაკვეთილი აუცილებლობას წარმოადგენს ტექნიკის განთავსება თითოეულ საკლასო ოთახში. ამით მოსწავლეები შეძლებენ გამოიყენონ საპრეზენტაციო პროგრამა power point-ი. ვიცი რომ ეს დროის საკითხია, მაგრამ აუცილებელია ამ მიმართულებით ჩაიდოს ინვესტიცია, ვიფიქროთ მათ მორალურ და ეთიკურ მხარეზე.

მოსწავლის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებაში საგნის პედაგოგთან ერთად უადრესად დიდ როლს ასრულებს კლასის დამრიგებელი. ის უნდა თანამშრომლობდეს და ერთად უნდა მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხსა თუ პრობლემაზე. კარგია, როცა თანამშრომლობა ამ მხრივ განსაკუთრებით სიღრმისეულია, თუმცა ცხადია პედაგოგი პასუხისმგებელია თავის გაკვეთილზე და უნდა ასრულებდეს თავის ვალდებულებებს.

ჯანსაღი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად ყველაზე ოპტიმალურ და ეფექტურ საშუალებად მიმაჩნია კლასის მართვის დემოკრატიული სტილი. ვინაიდან ის გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ თანამონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, მათი დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების ხელშეწყობაში. როდესაც მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგაკვეთილო აქტივობების, მიზნების, წესების შემუშავებაში, საერთო მიზნის მიღწევაში თითოეულს თავისი როლი და პასუხისმგებლობა აქვს, ეს ხელს უწყობს როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განვითარებას.

თანაბაუფლებიანობაზე, თანამშრომლობით მიდგომაზე დაფუძნებული გაკვეთილი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად („სასწავლო და პროფესიული გარემო“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“). აქვია პრობლემაც, ასეთი მიმართულებისაგან განსხვავებულია მასწავლებელი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მართვის ავტორიტარულ სტილს (მით უმეტეს, თუ ის დამრიგებლის მოვალეობას ასრულებს), მისი მოსწავლეები გავლენის ქვეშ ექცევიან, ისინი მისი შიშით ხდებიან მორჩილები და დისციპლინის დამცველები. ვფიქრობ, რომ ეს დროებითია, ეს იწვევს მოსწავლეთა დაბნევას და ვერ პოულობენ საკუთარ ადგილს, იწვევს აგრესიულ დამოკიდებულებას. მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა ურთიერთობათა სტრატეგიის (სტილის გამოყენება) იწვევს იმას, რომ მოსწავლეები ვერ მიყვებიან ერთ ძირითად მიმართულებას, რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველას სურს თოკი თავის მიმართულებით მოზიდოს.

პედაგოგთა გარკვეული ნაწილი ცდილობს დამალოს პრობლემები, არ სურთ მათზე ხმამაღლა საუბარი, რადგან მიაჩნიათ რომ ეს დაჩრდილავს მათ ავტორიტეტს. ასეთ სიტუაციაში ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი იქნებოდა დისკუსია და თანამშრომლობა, თუმცა რეალობას მოკლებული იქნება, ვინაიდან ეს ყველაფერი გარდამავალ პერიოდშია და თანამშრომლობის საფუძვლის ჩაყრას დრო დასჭირდება. ამ დროის განმავლობაში კი მოსწავლე ზარალდება და სულ სხვა ფსიქოლოგია, ხასიათი უყალიბდება.

დღევანდელი სკოლის უმთავრესი ფუნქციაა დაეხმაროს მოსწავლეს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში; ჩამოაყალიბოს მოსწავლე სამოქალაქო ღირებულებათა მატარებელ პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მოვალეობები კაცობრიობისწინაშე. ამის მიღწევა შესაძლებელია ეთიკური თვალსაზრისით ჩამოყალიბებული, სამაგალითო პიროვნების დახმარებით („მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო„**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი,თბილისი,2009, გვ. 7).**

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში პროფესიონალი და კომპეტენტური მასწავლებლის ფუნქცია შეუცვლელია. უმნიშვნელოვანესია იმ საგნის ზედმიწევნით ცოდნა, რომელსაც მასწავლებელი ასწავლის სკოლაში. ამავე დროს მაღალკვალიფიციური მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს თავის პროფესიულ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ი, ძოწენიძე ი. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. „სწავლება და შეფასება“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ. 2008, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
3. „სასწავლო და პროფესიული გარემო“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.
4. „მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო,“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი,თბილისი,2009.

სტატიაში წარმოდგენილი ცხრილები, დიაგრამები, სურათების რაოდენობა:

1. ცხრილი -1.